თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3243383

ნომერი: AR1496861

თარიღი : 20.04.2017

გაცემის თარიღი : 22.05.2017

გაცნობის თარიღი : 22.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 11ა , მიმდებარედ, ნაკვ.03/057 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ესებუა პ/ნ 01009007908
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 34 ბ. 30

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1264294
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.05.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კარლო მშვიდობაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ოპტიმუსი

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404420998

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "აისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404433564
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რამაზ ესებუა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009007908

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 569.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 324.67
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2681.1
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1675.92
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 192.76
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 335.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 246.98
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 229.84
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8973.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 8240.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 733.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 36.44
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 32.33
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.11
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 263.77კვ/მ=0,5 ასახული კოეფიციენტში
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2453,6,კვ/მ=4.3 ასახული კოეფიციენტში
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 88,6კვ/მ=0,15 ასახული კოეფიციენტში

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №1505249
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 24.09.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1505249
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.09.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1496861 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

• ვინაიდან საკადასტრო ერთეულმა განიცადა ცვლილება, კერძოდ, შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებაზე.

• შესაბამის ველში წარმოსადგენია კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

1.შესაბამის ველებში წარმოსადგენია მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს შესრულებული სამუშაოების ნუსხას (CV), შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: წარმოსადგენია უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: არსებული ტოპოგრაფიული გეგმა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი სპეციალისტის მიერ. ფაქტობრივი მდგომარეობით, არსებულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე შენობის ნაწილები ცდება საკადასტრო საზღვრებს. განმარტეთ აღნიშნულის თაობაზე.

4.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: განაახლეთ საჭიროების შემთხვევაში.

5.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გასათვალისწინებელია ავტოსადგომის მოწყობა ნორმების შესაბამისად (თითოეულ სადგომამდე შესვლა და გამოსვლა უნდა მოხდეს შეუფერხებლად). ავტოსადგომში ასევე გასათვალისწინებელია ფეხმავლებისთვის დამოუკიდებელი გასასვლელის მოწყობა. სამანქანე პანდუსზე დასატანია საწყისი და ბოლო ნიშნულები, ასევე გაბარიტული ზომები. ფართებს მიუთითეთ ფუნქციები. ყველა სართულზე დაიტანეთ ლიფტი. პროექტით გასათვალისწინებელია შშმპ პირთა მისაწვდომობა. წარმოსადგენია ყველა სართულის გეგმა. საჭიროა ნახაზზე კონტურით მონიშნოთ კორექტირებული კვანძები და განმარტოთ ცვლილებები, შენიშვნის სახით. თუ კონკრეტულ ნახაზზე ცვლილება არ არის - ასეც განმარტეთ.

6.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: საჭიროა ნახაზზე კონტურით მონიშნოთ კორექტირებული კვანძები და განმარტოთ ცვლილებები, შენიშვნის სახით. თუ კონკრეტულ ნახაზზე ცვლილება არ არის - ასეც განმარტეთ.

7.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: საჭიროა ნახაზზე კონტურით მონიშნოთ კორექტირებული კვანძები და განმარტოთ ცვლილებები, შენიშვნის სახით. თუ კონკრეტულ ნახაზზე ცვლილება არ არის - ასეც განმარტეთ.

8.კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოსადგენია ფოტომონტაჟი. არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის და პროექტის მიხედვით მშენებლობის განხორციელება.

9.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : თითოეული სართულის გვერდით წარმოადგინეთ კ2 კოეფიციენტის საანგარიშო კონტური (კროკი). განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად.

10."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: გადახდილ იქნას განაშენიანების ფართობის შესაბამისად, კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

11.კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: წარმოადგინეთ ველის შესაბამისი დოკუმენტი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.